№ 67 მარტი 28, შაბათი 1892 მარტი 28, შაბათი № 67

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ-გვარ განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისში რედაქციას, კუკიაში, ავშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძიგლის პირდაპირ, თავ. გრიგორ ნინაძისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, ხოთავდა-ბაზაურო ბანკის სახლეულში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი „ივერია“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

ქ. ოზურგეთში

10 მარტიდგან ამა მიმდინარე წლისა მე-81, 82, 83 და 85 მუხლის თანახმად სავაჭრო წესდებისა დაარსებულია ურთიერთს ნდობაზედ (на Вѣрѣ) ამხანაგობა შემდეგის ფირმით: **ოზურგეთის თაბისუფალ ქალთა წარმოებაა მ. ო. ურუშაძისა და ამხ.**, რომლის უმთავრესი აზრი ის არის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, გაადვილოს და გაიაფოს ეტლით მოგზაურობა გურიაში და, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამ ჟამად ეტლები ამა ამხანაგობისა განსაკუთრებით ოზურგეთსა და რკინის გზის სადგურს ნატანებს შუა დადის საფოსტო და სახალხო მატარებლის დროს. ამხანაგობას ეხლავე **192** წევრი ჰყავს. თითოეული წევრი ერთ-დროებითად იხდის **ოც-და-ათ მანეთს** და ამ ნაირად ძირეული თანხა ამხანაგობისა **5760** მანეთია.

საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: პირველად **ათი** მანეთი და დანარჩენი **ო�იც** ექვსის თვის განმავლობაში. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა, მიჰმართოს ამ ადრესით: „Въ Озургское товарищество вольныхъ экипажей М. О. Урушадзе и К°. (6—2)

საადგილო სარჩულარი ქართველებს.

იხილეთ მეოთხე გვერდზედ ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ დამაფუძნებელთ და მსესხებლებს ბანკისას, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით საზოგადო კრება დანიშნულია ამ 1892 წლის 12 მაისს, დღისს 10 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სახლში, ტფილისს, სასახლის ქუჩაზედ. განსახილველი საგნები საზოგადო კრებისა:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1891 წლის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება დაფასებათა ინსტრუქციისა.

3) წინადადებანი ბანკისა ქალაქს ბაქოსა და ბათუმში სააგენტოების დაარსების შესახებ.

4) წინადადება იმის შესახებ, რომ ერთი წევრი კიდევ მოემატოს ბანკის გამგეობას

5) მსესხებელთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ, როცა იგინი დაზარალდებიან უბედურ შემთხვევათა გამო.

6) განხილვა და დამტკიცება 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

7) მოხსენება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საჭიროებისათვის წმინდა მოგების 35°/₀-ით შემდგარი თანხა 1891 წელს.

8) მოხსენება იმ მამულების შესახებ, რომელიც ბანკს დარჩა.

9) განხილვა სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათა თხოვნისა იმის შესახებ, რომ შემწეობა მიეცეთ,

და 10) არჩევანები: ზედამხედველ კომიტეტის ერთის წევრისა, სამაგეროდ ნ. დ. ქანანოვისა, რომელმაც სამსახურს თავი უნდა დაანებოს; გამგეობის ერთის წევრისა, სამაგიეროდ თავ. დავით ივანეს ძის ავალოვისა, რომელმაც რიგით თავი უნდა დაანებოს სამსახურს, და არჩევანი დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, სამაგიეროდ ანტონ ნიკოლოოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გიორგი სარდიონის ძის ციციშვილისა, რომელთაც რიგით სამსახურს თავი უნდა დაანებონ.

(3—1)

ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ბ-ნმა გრ. არწრუნიმ ქალაქის მოურავს წარუდგინა 1,300 მანათი, გაზეთ „მშაკის“ რედაქციაში შეკრებილი ნათლისღება დღეს მომხდარ უბედურებით დაზარალებულთა სასარგებლოდ. ამ ჟამად ქალაქის კომისიას სულ 14,500 მანათი აქვს ხსენებულ საგნისათვის შეკრებილი.

*** კვირას, 29 მარტს, კავკასიის სამეფონო საზოგადოების დარბაზში, საღამოს 7 საათზედ, დანშულია კრება მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებისა, პედაგოგის იან ამოს კომენსკის 300 წლის იუბილეის სადღესასწაულოდ.

*** ბაქოს მხარეს ავაზაკებმა ძალიან დაუხშირეს მატარებლების გაძარცვის სურვილის გამომჟღავნებას. ამას წინად, როგორც ვეუწყოთ, სამი თათარი დაეცა მატარებელს. ეხლა კიდევ დასკემიან ფოსტის ვაგონს სად. ქურდამირსა და აჯიქაბულს შუა, საჩეი აუყრიათ და ორი ტყვის აბგა გაუტანიათ საფოსტო განყოფილებიდგან. ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, ფულის აბგები იყო ის აბგები, თუ უბრალო წერილებისა. ადგილობრივი პოლიცია დიდს ფაცა-ფუცშია და ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობს ავაზაკების აღმოსაჩენად.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მკურნალის ბ-ნ სახაროვის მოხსენების გამო სურამის სადგურში რკინის გზის მმართველობა სასანიტარო სადგურს ჰმართავს რკინის გზის ავადმყოფ მოსამსახურეთათვის. ეს ამბავი მეტად სასიამოვნოა, რადგანაც ზაფხულში რკინის გზის ძლიერ ბევრი მოსამსახურე ციებ-ცხელებით ხდება ავად და ამ ავადმყოფთათვის სურამზედ უკეთესი ადგილი ძნელად თუ სადმე მთელს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მოიპოვება.

*** ს. ქარელი (გორის მაზრა): ქარელის საზოგადოების ოსები ტატო ჯიოშვილისა და სანდრო ხუბულურის ჩამორჩობის შემდეგაც არ ანებებენ თავს ავაზაკობას, თუმცა გუბერნატორის განკარგულებით მკათთვის პირველში დანიშნეს სახელმწიფო მამასახლისად ი. ქ. ზანდუკელი, რომელსაც ერთი ურიადნიკი და ათი ჩაფარი დაუნიშნეს ავაზაკობის მოსასპობლად. თქვენი მტერი, რომ ჩვენს საზოგადოებას ცუდი დღე დადგებოდა, ამათი რომ არ ეშინოდეთ, მაგრამ ხანდახან სული კიდევ წასძლევთ ხოლმე და, თუ დიდს არა, პატარა ავაზაკობას მაინც ჩაიდენენ ხოლმე. მაგალითად, ამ თთვის თხუთმეტს საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, სოფელ კეხისჯვარასა და სანებელს შუა, მდინარე ძამის პირზედ, თავს დაეცა სამი ოსი ებრაელს გაბრიელ მოშიაშვილს, დაუწყეს ცემა და ეუბნებოდნენ: „ფული ჩქარა, ფულიო!“ სოფლელებმა დაინახეს, რომ ჩხუბიაო, და გაიქცნენ გასაშველებლად. ოსებმა მოჰკრეს თუ არა ხალხს თვალი, მაშინვე ხელი უშვეს და მოჰკურცხლეს. სახელმწიფო მამასახლისმა ზანდუკელმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე ჩაფრები გაგზავნა მათ შესაპყრობად: შეიპყრეს ვანო ჯერანაშვილი, გაბრიელ ბერთაგაშვილი და ბიტო ქოქოშვილი, რომლებიც ი. ქ. ზანდუკელმა ჩაბარა მაზრის უფროსს 20 მარტს და შემდეგ გაგზავნილ იქმნენ სურამში გამომძიებელთან.

*** იქიდგანვე: ერთი თთვე მეტი იქნება რაც ქარელში სახადი გავრცელდა. ასე გასინჯეთ, რომ სკოლის შეგირდებსაც-კი დაერია და რამდენიმე შეგირდი ავად არის. სკოლის მასწავლებელმა გიგო თუ არა ამ სენის გავრცელების ამბავი, მაშინვე შეატყობინა დირექტორს და შეგირდები სულ დაითხოვა, რომ სხვებსაც არ გადასდებოდა. სახადის გამო ერთი კომლი კაცი სრულიად ამოწყდა. სამს კომლში კიდევ არის გავრცელებული. ინფლუენციისას-კი ნულარას გვეტყვით, თითქმის მთელის სოფლის მცხოვრებნი ავად იყვნენ და ბევრიც იმსხვერპლა, მაგრამ დაუდევრობის გამო ერთი ექიმიც არავის მოუყვანია.

ქარელის საზოგადოებაში ორი ათასი კომლი უნდა ითვლებოდეს და ამათ შორის ვინ იცის, რამდენი თავადი შვილია. განა გასაკირია, რომ ერთი „ფერშალი“ ვიშოვნოთ და დავუნიშნოთ ჯამაგირი, რომ ყველას გამოკვადგეს გაჭირვებაში? თითო კომლს კაცზედ რომ თითო აბაზი ვინაგარიშოთ წელიწადში, მეტიც მოვა ერთის ფერშლის ჯამაგირისათვის.

თებერვალმა მშვენიერის დარებით გაიარა, მაგრამ მარტმა-კი სრულიად ჩაგვაშხამა: სულ სიცივე და ქარია. ამ ბოლოს დროს თოვლიც მოვიდა და ისეთი ავდრები იყო, რომ იანვარშიაც არა ყოფილა.

*** ცხინვალი: გუშინ-წინ, 15 ამ თვისასა, აქედგან გაიგზავნენ ციხეში ქუთაისსა და გორში ორი ცხენარა ეს ამბავი, მაშინვე ჩაფრები გაგზავნა მათ შესაპყრობად: შეიპყრეს ვანო ჯერანაშვილი, გაბრიელ ბერთაგაშვილი და ბიტო ქოქოშვილი, რომლებიც ი. ქ. ზანდუკელმა ჩააბარა მაზრის უფროსს 20 მარტს და შემდეგ გაგზავნილ იქმნენ სურამში გამომძიებელთან.

*** იქიდგანვე: ერთი თთვე მეტი იქნება რაც ქარელში სახადი გავრცელდა. ასე გასინჯეთ, რომ სკოლის შეგირდებსაც-კი დაერია და რამდენიმე შეგირდი ავად არის. სკოლის მასწავლებელმა გიგო თუ არა ამ სენის გავრცელების ამბავი, მაშინვე შეატყობინა დირექტორს და შეგირდები სულ დაითხოვა, რომ სხვებსაც არ გადასდებოდა. სახადის გამო ერთი კომლი კაცი სრულიად ამოწყდა. სამს კომლში კიდევ არის გავრცელებული. ინფლუენციისას-კი ნულარას გვეტყვით, თითქმის მთელის სოფლის მცხოვრებნი ავად იყვნენ და ბევრიც იმსხვერპლა, მაგრამ დაუდევრობის გამო ერთი ექიმიც არავის მოუყვანია.

ქარელის საზოგადოებაში ორი ათასი კომლი უნდა ითვლებოდეს და ამათ შორის ვინ იცის, რამდენი თავადი შვილია. განა გასაკირია, რომ ერთი „ფერშალი“ ვიშოვნოთ და დავუნიშნოთ ჯამაგირი, რომ ყველას გამოკვადგეს გაჭირვებაში? თითო კომლს კაცზედ რომ თითო აბაზი ვინაგარიშოთ წელიწადში, მეტიც მოვა ერთის ფერშლის ჯამაგირისათვის.

თებერვალმა მშვენიერის დარებით გაიარა, მაგრამ მარტმა-კი სრულიად ჩაგვაშხამა: სულ სიცივე და ქარია. ამ ბოლოს დროს თოვლიც მოვიდა და ისეთი ავდრები იყო, რომ იანვარშიაც არა ყოფილა.

*** ცხინვალი: გუშინ-წინ, 15 ამ თვისასა, აქედგან გაიგზავნენ ციხეში ქუთაისსა და გორში ორი ცხე-

ფელეტონი

გაზაფხული

გაზაფხულია.
ხარობს ყოველი:
ზეცა, ქვეშ მიწა,
კაცი, ცხოველი.
სატრფო იხილა
განშორებული,
გადაუშალა
მას მიწამ გული.
მზეს უყვარს მიწა
სულით და გულით:
ჩასცქერის თვალში
მას სიხარულით.
გულში ეხვევა
თავისს საყვარელს,
მის მთებს და ჭალებს,
მის ტყეს და ველს.
მიწას მზე—სატრფო
დიდხანს შორს ჰყავდა,
ჯავრი და სევდა
გულს უყინავდა.
ახლოს იხილა,
სწრაფ იგრძნო შვება:
მისდა საამოდ
ტურფად ირთვება.
აი, ამოყო
თავი იამა!
მისი დანახვა
ყველას იამა;
უფრო-კი ბავშვებს,
ყვავილთ ერთგულებს:
ჭკრეფენ და ჭკრავენ
მის თაიგულებს.
აგერ მოსილი
თეთრად ტყემალი!
ატამს მოუსხამს
წითელი ლალი.
ტურფად მორთულან
ვაშლ-მსხალ-ქლიავი...
მათ არხევს ოდნავ
დილის ნიავი.
ვიშ რა დილაა,
რა მშვენიერი!
გატკბობს და გალხენს
წმინდა ჰაერი.
დასცქერ ბუნებას
აყვავებულსა
და გრძნობას გიტკბობს,
მით სულს და გულსა.
ისმენ ფრინველების
ათას გვარს ენას:
კუთკუთს და წიწინს,
ღუღუნს და სტვენას.
აი მდინარე:
სულ ამღვრეულა,
გაგიკვირდება,
გადარეულა!
მოჰღელავს, მორბის,
მოჰშხუის ჩქარა!...
აიქ ცხენთ და ხართ
ჯოგი, ცხვრის ფარა:
ზოგნი წყალს ხარბად
დასწფებიან,
ზოგნი შიგ გასვლას
ესწრაფებიან;
ზოგნი ნორჩს ბალახს
ხარბადა სძოვენ;
ჯაკელნი *) ფურებს
ძუძუსა სწოვენ...
პაწა მეცხვარე
წყლის პირს თამაშობს:
ქვებს ისვრის, დახტის...
რაღაცებს ბავშვობს.
აგერ სთესავენ,
სოოხნიან, ჰხნავენ,
ჩალა-ბულასა
გროვ-გროვად სწვავენ.
ალი და კვამლი
ზეცაში ადის...
ისმის ყოველ მხრით
გუგუნი ნადის.

—

ყველა მუშაობს,
იცინის, მღერის...
ღვთის თვალი ყველას
ტკბილად დასცქერის!..

სილოვან

*) მოზრდილი ხბო.

ჩვენი უთავბოლობა

წინასიტყვაობის მაგიერ

(იხილე „ივერია“, № 66)

ვაი იმ სახელმწიფოს და ვაი იმ ქვეყანას, სადაც სწავლაზედ ხელმიუწვდომლობისა და სიღატაკისაგან გამოწვეული ხალხის სირეგვნე და ზნე-დაცემულობა ჯოჯოხეთის კუპრივითა ჩუხჩუხებს და გადმოდის ოთხსავ მხარეს ქვეყნის კეთილის წასაპილწავად; ასეთი „ვაი“ დასაბამიდგანვე შეჰყრია ქვეყანასა და დღესაც ანადგურებს ადამიანთა უმრავლესობას, რის გამოც დღეს გვირგვინოსანნი მეფენი, დიდებულნი ბრძენნი, გამოჩინებულნი მეცნიერნი, ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები და სხვა მრავალნი კეთილნი სულნი ყველაზედ მეტად იმაზედ-ღა ჰხრუნავენ და სცდილობენ, რომ გონება-ქონებთ უღონო ხალხს ცუდი გონებრივი და ქონებრივი ყო-

ნის-პარია, შორაპნის მაზრის სოფელ ქალაში მცხოვრებელი აზნაური კოტე წერეთელი და გორის მაზრის სოფელს დვანში მცხოვრებელი ოსი ყიბი თოყმაშვილი.

ქალელი კოტე წერეთელი რამდენისმე საქმის გამო ქურდობის თაობაზედ ემალებოდა პოლიციას თითქმის ორი წელიწადი, ეხლა ბედმა ულალატა და თოთხმეტს ამ თვისას, როდესაც სოფელს ბრეში ერთს თავადიშვილს ესტუმრა, გასცეს: შეატყობინეს ცხინვალის ბოქაულს ბ-ნს გუგუშვილს. გუგუშვილი, სწორედ შუა-ღამე იქნებოდა, გაემგზავრა ბრეთისკენ ჩაფრებითა და ცხინვალის სოფლის მამასახლისისურთ. განთიადისას შემოერტყა თავადიშვილის სახლს, სადაც კოტე წერეთელი ეგულებოდა. სახლის პატრონს არ ეტანშნაკა ეს ამბავი, პატარა ხანს უარზედაც იდგა, ჩემთან ისეთი ბრავინ არის, რომ ამ დროს მოიკითხოთო, მაგრამ მალე მოლაპა და მძინარე კოტე წერეთელს დაყენა თავს პოლიცია. კოტე წერეთელი დილით მოიყვანეს ცხინვალში და ცოტა არ იყოს მორცხვობდა, როდესაც თითქმის მთელის ცხინვალის მცხოვრებლები ზედ დაედგნენ და აფსუსობდნენ, რომ ამისთანა ჯან-მრთელი ყმაწვილი, წარმოსადეგი, მხარ-მეტეანი და ამასთანავე კეთილშობილი ცხენისპარიად გადაქცეულაო. კოტე წერეთელი იმ დღესვე ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელთან გაჰგზავნეს.

ყიბი თოყმაშვილი სულ ორი კვირა არ იქნება, რაც ციხიდგან გამოუშვეს თავდებობით, მაგრამ კიდევ სხვა საქმეებისთვის მომრიგებელმა მოსამართლემ ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

*** სურამი: ნიკოლოოზ ჩხეიძის მკვლელები აღმორნდნენ: აზნაურიშვილი ვედეკან ამაშუელი და დიაკვნის შვილი ფილიმონ ცქიტიშვილი. ამბობენ, რომ იმათ კიდევ ხუთი კაციც სხვა ჰყოლიათ მონაწილეო. ნიკოლოოზ ჩხეიძის ქვრივმა ეს ორივე მკვლელი იცნო. 23 მარტს ქ-ნ ჩხეიძის დისშვილი, ყმაწვილი ანთაძე ჭრილობისაგან გარდაიცვალა („Нов. Обоз.“).

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ამ წელს სხვა-და-სხვა ღონისძიება იხმაროს

ფა-მდგომარეობა განუკარგნ და მით დაუმტკიცონ მაღლა ღმერთს და ძრს მშობელ ქვეყანას იესო-ქრისტეს ნაბრძანები: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო. მხოლოდ დღეს ჩვენ-ღა ვართ ყველაზე უკან ჩამორჩენილნი, საცოდავნი, მოძმის ჭირის ღობის ჩხირად მიმღებნი და ჩვენის საკუთარის ჯიბე-მუცლისათვის საზიზღარ მხეცებად გადაქცეულნი არა-კაცურის თავ-მოყვარეობისაგან და შურიანის შენჩემობისაგან. თუმცა-კი მრავალ არიან დღეს ჩვენშიაც სიტყვით ანგელოზები, საქმით ტარტაროზები, რომელნიც თვალწინ „მე მოვკდე და შენ იცოცხლეს“ გაიძახიან და თვალს-უკან-კი სხვასა ჰკლავენ და თითონ ხარხარებენ, გვეკნან თითო-ოროლა მამეული სათაყვანო შვილებიც, მაგრამ ცხრა ასი ოთხმოც-და-ცხრამეტის ნანგრევს მარტო ერთი როგორ აამენებს?

აბა, ვინც ჯერ არ დაჰკვირვებიდა ეცადოს, რომ კავკასიაში ღვინის კეთების საქმე გაიუმჯობესოს. სამინისტრო განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს კავკასიაში საზოგადო ვენახების გაშენებას და საზოგადო სარდაფებს გაჰმართავს ვენახის პატრონებისათვის, რომ ამ საშუალებით დაეხმაროს ღვინის მკეთებლებს („Нов. Вр“).

*** „Т. Л.“ სიტყვით, ქალაქის საქმიო ლაბორატორიის მმართველი მკურნალი ვართანოვი აცხადებს, რომ ვაპრეს ბ-ნს მიხელს და კესპარს გაზეთებში გამოუცხადებიათ, ვითომ იმათ მალაზიების სხვა-და-სხვა სანოვაგე: ლორი, ძეხვი, ერბო და სხ. საქმიო ლაბორატორიამ გასინჯა, და ამით ატყუებენ მყიდველებსაო. მიხელმა მხოლოდ ათი ლორი წარმოადგინა ლაბორატორიაში გასასინჯად, ძეხვი-კი სრულიად არ წარმოუდგენია, კესპარს-კი ერბო სრულიად არ წარმოუდგენია ლაბორატორიაში გასასინჯად. ლაბორატორიის მმართველი აცხადებს, რომ ყველა სანოვაგეს, რომელსაც-კი ლაბორატორია სინჯავს, ან დამღა უნდა ჰქონდეს დასმული, ან არა-და, ლაბორატორიის მიერ გასინჯვის მოწმობაო.

*** გუშინ-წინ, შუადღისას, მსაკაენაკის ხიდადგან გადაკარგა მტკვარშა სამოცის წლის მოხუცი, დიდ-ლიღოს: მტხეკრეკელა გიორგი კონსშვილი. მაჩუნი თავის დარჩობისა დიდის ხნის უკურნებელი ავადმყოფობა ყოფილა.

საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

ხარისხი ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო.

უმრთველესის სენატის 1892 წლის 12 თებერვლის № 21 №-რის ბრძანებით, სამსახურის წელთა შესრულების გამო, გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ილია დეისაძეს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა უფროსობით 1891 წლის 15 ოქტომბრიდგან.

უმრთველესის სენატის 1892 წლის 22 ანვრის № 11 №-რის ბრძანებით, სამსახურის წელთა შესრულების გამო, კეკეკასიაში მართდ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების უფროსის ტოდოშის სასოფლო სასწავლებლის მასწავლებელს დუკა ნათენაძეს ებოძა

ხართ, გონების თვალით ჩაუკვირდით ახლოდგან ჩვენის ქეყნის ცხოვრების სიღრმე-სიგანეს და, უეჭველია, უნებურად წამოიძახებთ გულის სიმწარით: ღმერთო! რა მოჰსელია ამ ხალხის უმრავლესობის სიღატაკისაგანო. ვისაც ჩვენი მდაბიო ერის ყოფა-ცხოვრების ავ-კარგი ზედ-მიწევნით არ შეუსწავლია საფუძვლიანად და ზედაქვერად თვალ-ყური მოუკრავს იმისთვის, ის თქვენს ასეთს წამოძახილზედ მედიდურად შუბლს შეიკრავს და გულ-მოსული წამოიტყვის: დიდება შენთვის, უფალო! რა ეშმაკმა გაგიღატაკათ ე ხალხი ოქროს მთა-ბარიან მიწა-წყალშიო?! აი სწორედ მეც ეს მინდა, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ნათლად გამოვარკვიო, შეძლებისა დაგვარად, თუ რამ გააღატაკა ეს მართლაც-და ოქროს მთა-ბარის ხალხი, რა აღატაკებს დღეესაც და რომელ საშველის წამლით

კოდექსსი რეგისტრატორობა უფროსობით 1890 წლის 1 იანვისადგან.

მასწავლებელთა გადაყვანის შესახებ.

მასალა მაღალ უოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეპისკოპოსის მიერ, თანახმად უმაღესის სინოდის ბ-ნ ობერ-პრეკურორის საპატრიარქო უოველად უსამღვდელოესობათა მომართ გამოგზავნილად 1885 წლის 31 ოქტომბრის მე-5146 №-რის ს

ნიჩაბით ხელში, მუშაობდა პატარა ქოხს უკან, მხე-გულზედ. „ეს ვინ მუშაობს იქ?“ გამოვკითხე გურულს. „იგი, ბატონო, ახალი მებაღე-რუსია“. გურულმა მუშამ ვერ დაკმაყოფილა ჩემი დაინტერესებული ცნობისმოყვარეობა და გავწიე რუსისაკენ. მისელისათანავე უცნობს ჩვენებური სალამი ვუთხარი. იმან რაღაც ეკვის თვალით შემომხედა და ისეთი სახის მეტყველება მიიღო, რომ ვიფიქრე, ეს-ეს არის მეტყვის: შენ, ძამია, უსაქმო და მოცალილი უნდა იყო, რომ მოდიხარ და მუშაობას მიშლიო. ღმერთმა ამისაგან დამიფარა, მაგრამ გულ-მწყარალად-კი მკითხა: „რა გნებავთ? ვისთან მაქვს პატივი ლაპარაკისა“, იმისმა ასეთმა დახვედრამ, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა და რამდენისამე წამის შემდეგ ისე აუსხესენი, რისთვის და როგორ მოგიხდა მასთან მისვლა, თითქოს ვსცდილობდი როგორმე დამნაშავის მდგომარეობიდგან თავის დახწევას. შემდეგ იმ გვარად მოვინადირე მრისხანე ახალ მებაღის გული, რომ უნებლიედ ეკითხე: „როდის და საიდგან მოსულხართ აქ? შესწავლილი გაქვთ ბაღოსნობა თუ არა-მეთქი“. ერთს წამს შეაჩერა იმან ნიჩაბი, გაიმართა წელში და მომცა საჩქაროდ პასუხი და თან დასძინა, კანდიდატი ვარ უნივერსიტეტისაო. რამდენსამე ხანს ყოფილა სამსახურში შიდა გუბერნიებისკენ და მერე მეურნეობისთვის მოუკიდნია ხელი თავისს ქვეყანაში. იქიდგან ეს რუსი ბათუმში მოსულა, სადაც რამდენიმე დღიური მიწა აიღო იჯარით და მეურნეობა დაეწყო. ამ ბოლოს დროს-კი ეს კაცი მოუწვევია ამ ბაღის პატრონს. ინტელიგენტმა მუშამ სთქვა, სხვათა შორის, რომ როგორც მე, ისე ჩემს შვილს ბაღოსნობისა და მეურნეობის ცოდნის ატესტატი გვაქვსო. შვილს მისას, როგორც თითონ სთქვა, ოდესის მებოსტნეობისა და ბაღოსნობის სკოლა დაუმთავრებია. ცოტა მოშორებით იქიდგან, სადაც ეს განათლებული მებაღე მელაპარაკებოდა, ასე 17—18 ყმაწვილს-ბიჭს ვხედავდი აქლემის-ყელის „პიჯაკში“. ფეხთ ჩვენებური ქუსლ-წაკეცილი წუღები ეცვა და თაკზედ რუსული ქუდი—„კარტუზი“ ეხურა. ეს ყმაწვილი პირ-სავსე იყო და ხალისიანად ურევდა ხელებს გაპოხიერებულს მიწაში. ეს ახალგაზდა მუშა იყო შვილი ჩემის ახლად გაცნობილისა. თითონ მამა გამხდარი, ოდნავ შეჩაღარიანებულია; მისი ინტელიგენტური პირი-სახე ამტკიცებდა, რომ ის არც თავისს სულს, და არც ხორცს არ ანებივრებდა. ზემოხსენებულს ქოხში, სადაც ჩვენს ნაცნობთ თავ-საფარი აქვთ, შედგამოდიოდა წინ-საფრიანი დიასახლისი, რუსის ქალი, რომელსაც ეტყობოდა, რომ ერთის შეხედვით, გაუჩერებლივ ფუსფუსებდა, საქმიანობდა. ეს ქალი მუდამ გართულია საქმიანობაში, არა ზის და არ უბარტყუნებს ჩონგურს საარშიყო ლექსების დამღერით, როგორც სჩვევიათ და სჯულ-კანონად უწერიათ უმტეცსობას გურულ ქალებისას მაშინ, როდესაც მათნი მეუღლენი მუშაობაში ჩაბმულან და ოფლსა ჰღვრიან. ხშირად არის, რომ რომელიმე კოპწია და კეკლუცა პატარძალი ანუ დიასახლისი (სახელით და არა სახრავით), გატაცებული ცუდად დროს გატარებით, სატრფიალო საგნების შესახების ოცნებობით სადილსაც არ მოუშაფდებს თავისს მუშა-ქმარს, არა თუ საჭმელი მიუტანოს მუშას ყანაში. მართალია, არც ის მეტის-მეტი ჯაფაა მოსაწონი, რომელიც ადგილადგილ ჩვენს ქვეყანაში ქალებს აწევს კისრად ზამთარ-ზაფხულ, მაგალითად, რაჭაში, ოკრიბაში და სხვ.; ამ ადგილებში გლეხის ქალი ყანაში მიდის თოხ-გადადებული მხარ-ბეჭზედ თავის ქმართან ერთად და დილიდგან საღამომდის მუშობს. ამბობენ, რომ ოკრიბაში მუშა-ქალს ძუძუ-მწოვარი ყმაწვილიც, არტაშნებით აკვანში ჩაკრული, თან მიჰყავს ყანაშო; აკვნიანს ყმაწვილს იქვე ხეზედ ჩამოჰკიდებს, ყმაწვილს ქარი ურწევს და თითონ ქალი-კი ქმარს გვერდში ამოუდგება და სთოხნისო. მაგრამ არც ისაა საქებური, რომ უმრავლესობა გურულ-ქალებისა ცუდად ყოფნაში ატარებს დროს. ამის გამო, რასაკვირველია, სუსტი არსება კეკლუც გურულ ქალისა, რომელსაც თაყვანის-მცემელი ბევრი ჰყავს, მალე იქანცება უსაქმობით და ადვილად ჰკიდებს ხელს ღობე-მძრომელობას: ამაზედ უკეთესსა და ღირსეულს დროს გატარებას ვერ ჰპოულობს სიღატაკით და უმეცრებით მოცულს ცხოვრებაში.

(დასასრული იქნება)

საქართველოს ეპარქიის მღვდელთ-მთავართა სია

კათალიკოზნი

(488—1811)

ჩილიბანი. 532—544. (ქ. მოქც. ჩიმაგა... 31 გ., ქ.-ცხ. ჩიმაგ. 150 გ.) ფარსმანის დროსვე.

(ფარსმან VI დროს—528—542)

7. **საბა.** 545—550 (ქართ. მოქც. დასაბია, გვ. 31) ესე საბა იყო პირველი კათალიკოზი ქართველთაგანი, მცხეთელი, ალრჩეული მცხეთაში კრებისაგან (545 წ.) და დადგინებული იუსტინიანეს ნება დართვით 549 წ. ფარსმან VI დროს. საკურთხეველად კი წარვიდა ანტიოქიის პატრიარქთან, როგორც სხვა ეპისკოპოსნიც შემდეგში. იხ. Барат. II რვ., 93 გვ. ქ.-მოქც. 31—32 გვ.)

8. **ეფთათი** (ეფთვიმე?) 550—551 ქართველივე მცხეთელი (იხ. ქართ. მოქც. 31, 32 გვ.)

9. **კოსმა, ანუ ევლავიოს,** 552—560. ამის დროს მოვიდნენ ათკამეტი ასურელნი მამანი; ამანვე აკურთხა ეპისკოპოსად ესე ათორმეტთაგანი წილკნის საყდარზედ. (საქ. სამოთ. 209 გვ.)

10. **მაკარი.** 561—569. ამან აკურთხა მღვდლად ღირსი შიო მღვიმელი, თხოვისამებრ ფარსმან მეფისა, ეპისკოპოსთა და საზოგადოებისა; ამისავე ჟამ † იოანე ზედაძნელი და შიო. (Опис. Шіомгв. пуст. Іосс., 17 გვ.)

ფარსმანისაგან შეწირულის 30 ლიტრა ოქროთი ეკვგრიმ ალაშენა ეკკლესიები შიომღვიმეში და ამა მაკარიმ აკურთხა. ამავე დროს ფარსმანმა შესწირა შიომღვიმის მონასტერსა: სახარება ვახტანგ გორდასლანისა, თარგმნილი დედოფალს საგდუხტისათვის (408—410 წ.), მირდატის მეუღლისა და ვახტანგის დედისა და მკული ოქრო-თვალ მარგალიტითა; ოქროსაგან ქმნული ბარძიმ-ფეშხუმი და სხ. სახმარნი ნივთნი, ამაზედ გუჯარიც დაუწერა.

პ. ცხილოელი.

რუსეთი

გაზეთ „Петерб. Лист.“-ში ერთი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ვლადივოსტოკიდგან ციმბირის რკინის გზის უსსურიის შტოს გაყვანის შესახებ: ჯერ რკინის გზისათვის ადგილების კვლევა-ძიება გაგიძიდელდა, რადგანაც ეს ადგილები სრულიად უცნობია და ამ ადგილებისა არც რუკა მოგვეპოვებოდა და არც გეგმა. ხალხი აქ არა სცხოვრობს და მხოლოდ ჩრდილოეთისკენ შეგვხვდნენ უსსურიის ყაზახები, რომელნიც აქ ამ ოცის წლის წინად გადმოსახლეს იმიერ-პაიკალის ყაზახის ჯარიდგან, და ერთხელაც კატორგაში გამოგზავნილებს 600 კაცს შეეხვედით.

დღისით ცხელ სინოტიეს ოშხივარი და ათი ათასობით კოღოს და სხვა-და-სხვა მწერის კბენა გვაწუხებდა, ღამით-კი საშინელი სიცივე გვიხუთავდა სულს და გულს გვიწვრილებდა დათვების საზარელი ღმეილი, ხანდახან-კი ჩრდილოეთიდგან გადმოვარდნილი ვეფხვი გადაგვრბენდა ხოლმე გზასა.

მაგრამ ასე თუ ისე, ყველა ამ დაბრკოლებას დავძლიეთ და ამ ჟამად „გრაფის სადგურიდგან“ ხაბაროვკამდე კვლევა-ძიება დავასრულეთ. აგრეთვე უკვე შედგენილია უსსურიის რკინის გზის ხარჯთა აღრიცხვა და გეგმაც, ასე რომ უსსურიის რკინის გზის გაყვანა შეიძლება ეხლავე დავიწყოთ. გარდა ამისა, გამოკვლევის დროს გადაეწყვიტეთ, რა ადგილას უნდა გავკეთოთ ხიდი მდინარე ამურზედ, და ამ ხიდის გეგმაც შევადგინეთ. ხიდი მხოლოდ ერთის ლიანდაგისთვის იქნება გაკეთებული $1^1/_2$ საჟენის სიგანე და 25 ნაწილისაგან შესდგება; ეს ნაწილები ქვის ბურჯებზედ იქნება დამყარებული; მთელის ხიდის სიგრძე $2^1/_2$ ვერსი უნდა იყოს.

ამ ხიდის გაკეთება 8 მილიონი მანათი დაჯდება, მაშინ-როდესაც უსსურიის მეორე ნაწილის რკინის გზის გაყვანა (უხიდოდ) 344 ვერსის სიგრძეზედ 16 მილიონი დაჯდება.

ძლიერ გაძნელდება ციმბირის რკინის გზის სხვა ადგილებში გაყვანა, განსაკუთრებით ქ. ხაბაროვკიდგან დასავლეთისკენ, ამურის ხეობაზედ. იქ წამ და უწუქ გზაზედ დაგვიხვდება მდ. უსსურის ტოტები და ვინ იცის, რამდენის ხიდისა და ბოგირის გაკეთება დაგვჭირდეს. რაც შეეხება დანარჩენს ადგილებს, ამ ჟამად თითქმის ყველგან გათავებულია კვლევა-ძიება ციმბირის რკინის გზის გასაყვანად.

— გაზ. „Моск. Вѣд.“-ის სიტყვით, სახელმწიფო საბჭოში წარდგენილს კანონ-პროექტს უცხოელთა რუსეთში დასახლების შესახებ თან მიუძღვის ეროცელი განმარტებაც.

რუსეთის იმპერიაშიო, მოხსენებულია ამ განმარტებაში, დიდი ხანია რაც ჩვენ თითონაც თავისუფალი ადგილები არა გვაქვს იმ გუბერნიების მცხოვრებთა დასახლებლადაც, სადაც მკვიდრთა რიცხვი თანდათან ჰმატულობს, და ამ უადგილობის გამო ძლიერ შევიწროებულნი ვართ. ამიტომ, კანონ-პროექტის ძალით, ამიერიდგან უცხოელებს სრულიად არ მიეცემათ უფლება ქალაქს გარეთ ადგილების შესყიდვისა და დასახლებისა, იმ შემთხვევებს გარდა, როცა თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო მინიჭებს ამ უფლებას, ისიც იმ აუცილებელის პირობით, რომ რუსეთში დასახლების მსურველმა უცხოელებმა უეჭველად რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღონ.

ამას გარდა, კანონ-პროექტის ძალით, იმ უცხოელთ, რომელთაც უკვე შეძენილი აქვთ რუსეთში ადგილები და დასახლებულან კიდეც, სამის წლის განმავლობაში რუსეთის ქვეშევრდომობა უნდა მიიღონ, და თუ ამას არ იკისრებენ, გაჰყიდნონ თავისი ადგილები და გადასახლდნენ რუსეთის იმპერიიდგან. სხვათა შორის, რუსეთში დასახლების მსურველთ მოეთხოვებათ რუსულ ენისა და რუსეთის ზოგიერთ კანონის საკმაოდ ცოდნა. უამისოდ არც ერთს უცხოელს აღარ შეეძლება რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება. უცხოელთა შესახებ დებულების მე-1020 მუხლის ძალით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული უფლება აქვს, უცხოელს უარი უთხრას და რუსეთის ქვეშევრდომად არ მიიღოს.

უცხოეთი

საფრანგეთი. ლუბეს სამინისტროს ძლიერის თავ-გამოდებით ებრძვიან მისი მოკაშკაშენი და ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობენ, რომ ან როგორმე შეარყიონ და ან დასცენ, მაგრამ აქამდე გამარჯვება ისევ ლუბესა რჩება. აი, მაგალითად, ამ თვეის 15 ემილ ფერრიმ დეპუტატთა პალატაში წინადადება წარადგინა: რაც ეს დინამიტით ამფეთქებლები ზარალს აძლევენ კერძო კაცებს, სახელმწიფომ უნდა იკისროს იმისი ზღვევა და აღ-

---

საჩრებით და ამ გვარად დაეხმაროთ იმ საყოველთაო წინმსვლელობას, რომელსაც დაწინაურებული კაცობრიობა პროგრესს ეძახის და რომლის უდელში შებმაც ყველა გონებით განვითარებულს ადამიანს უპირველეს ვალად სძევს და ასრულებს კიდეც—ვისაც-კი ქვეყნის ავ-კარგი თვეის ავ-კარგივით გულზედ ეშიდება, ვინც-კი მართლად კაცური კაცია და არა ყურ-მოჭრილი სახედარი, რომელსაც სითაცე უნდათ, იქით მიატრიალებენ ხოლმე „ნაჩალნიკები“ და რომელიც სიკვდილამდე მარტო თვეის ჯიბე-მუცლის საქმეებს ემსახურება პირუტყვივით და გული ყელში სჩრია გაჩანჩურივანიჩებულ გონებისაგან. ეხლა-კი დროა, შევუდგე საქმეს, თუ თქვენი ნებაც იქნება. მე დიდად გთხოვ, მკითხველო, ყური მთხოვო ცოტა ხანს, და თუ ამისრულებ უმდაბლეს თხოვნას, ასე დაგლოკავ მაგ გულკეთილობისათვის: ღმერთმა მტერი დაგიმონოს, დაგიმოყვროს, დაგითვისოს, გაგამარჯვოს, გაგამდიდროს, ძალი ჭკვისა მოგანიჭოს; მაღლმან შენგან დათესილმა აგამაღლოს, გაგამტკიცოს, აქ გაქებდნენ, გადიდებდნენ, იქ იესომ ძმად გითვისოს! შეიძლება ეს ლოცვა იკოტავოთ, რადგანაც „გული კრულია კაცისა, ხარი და გაუძღომელი“, მაშ ინებეთ, ამასაც დაგიმატებთ: ღმერთმა სიბრძნე სოლომონ მეფისა მოგცეთ, მეტყველება—ციცერონისა, სიწმინდე—მამა აბრაამისა, მოთმინება—იობისა, ძლიერება—ალექსანდრე მაკედონელისა და სიმშვენიერე—იოსებისა.

ან-კი ლოცვა-მუდარა რა საჭირო იყო, მკითხველო, როდესაც „не тотъ великъ, кто говоритъ, а тотъ, кто слушаетъ“, ამბობს სიბრძნის მეტყველი ანდაზა რუსებისა, თუმცა შესაძლოა აქ ესეც გაიფიქროთ: ზოგი მთქმელი ჩარადაც არა ღირს და აბა იმ-ს ჭკვათა მყოფელი ყურს რად ათხოვებსო, მაგრამ, ბერწმუნეთ, შემცდარი ხართ, თუ მართლა ასე ჰფიქრობთ, და აი სიმართლისათვის თვით დიდად სარწმუნო მეცნიერის მოწმობაც: „თითქმის არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომლისაგანაც ცოტა რამ მაინც არა ვისწავლოთ-რა, თუ-კი მკირეოდნად მაინც გაგვიზიარებდა თავისს ნახულ-გამოცდილსო“, ამბობს გამოჩინებული ჯონ ლებოკი თავის ერთს ლექციაში და დიაღ ჭეშმარიტ სიმართლესაც ამბობს. ამავე აზრისანი არიან სხვა ფილოსოფოსნი და მეცნიერნი, და თქვენც დამერწმუნებით, რომ ზოგჯერ ბალღის ნათქვამდგანაც-კი ჭკვასა სწავლობს შორს გამსჭვრეტელი ბრძენი ქვეყნისა. ასე, ჩემო მკითხველო, „ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორად მოეფინების, წვრილთა სიტყვა და წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების“. შეიძლება კითხვის დროს ზოგი-ერთმა მისაყვედუროს კიდეც: ამდენი იგავ-ანდაზები და ციტატები რაღაცაა. სწორე მოგახსენოთ, მე ისევ ერთი პხწია, მაგრამ გონების თვალის ამხილებელი ანდაზა მირჩევნია მთელ თხზულებას, რომელიც მარტო ენას ატოკებინებს ადამიანს და გულ-გონებას-კი ერთი იმისი სტრიქონიც არ ეცხობა. როცა რომელიმე სათქმელი აზრი საგრძნობელად შეხამებულ სიტყვა-მარგალიტებით არ არის გამოთქმული,—ისეთივე უგემურია, როგორც მოშლილი პიანინოს დაჯაჯაყაყებული ხმა და უმარილო ღოქო. მეორეც ეს, ყოველი გონიერული ანდაზა, იგავი თუ ციტატი ელექტრონივით გვირბენს გულ-გონებაში და ელვის სისწრაფით გვითვალისწინებს: რა ვიყავით, რა ვართ და რა უნდა ვიყოთ, და აი ამისთვის დიდად სასურველი და სასარგებლო ხალხში გავრცელება გასაზეპირებლად იმ იგავ-ანდაზებისა, რომელთაც-კი ცხოვრებაში დასახლების შესახებ თან მიუძღვის ეროცელი განმარტებაც.

რუსეთის იმპერიაშიო, მოხსენებულია ამ განმარტებაში, დიდი ხანია რაც ჩვენ თითონაც თავისუფალი ადგილები არა გვაქვს იმ გუბერნიების მცხოვრებთა დასახლებლადაც, სადაც მკვიდრთა რიცხვი თანდათან ჰმატულობს, და ამ უადგილობის გამო ძლიერ შევიწროებულნი ვართ. ამიტომ, კანონ-პროექტის ძალით, ამიერიდგან უცხოელებს სრულიად არ მიეცემათ უფლება ქალაქს გარეთ ადგილების შესყიდვისა და დასახლებისა, იმ შემთხვევებს გარდა, როცა თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო მინიჭებს ამ უფლებას, ისიც იმ აუცილებელის პირობით, რომ რუსეთში დასახლების მსურველმა უცხოელებმა უეჭველად რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღონ.

ამას გარდა, კანონ-პროექტის ძალით, იმ უცხოელთ, რომელთაც უკვე შეძენილი აქვთ რუსეთში ადგილები და დასახლებულან კიდეც, სამის წლის განმავლობაში რუსეთის ქვეშევრდომობა უნდა მიიღონ, და თუ ამას არ იკისრებენ, გაჰყიდნონ თავისი ადგილები და გადასახლდნენ რუსეთის იმპერიიდგან. სხვათა შორის, რუსეთში დასახლების მსურველთ მოეთხოვებათ რუსულ ენისა და რუსეთის ზოგიერთ კანონის საკმაოდ ცოდნა. უამისოდ არც ერთს უცხოელს აღარ შეეძლება რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება. უცხოელთა შესახებ დებულების მე-1020 მუხლის ძალით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული უფლება აქვს, უცხოელს უარი უთხრას და რუსეთის ქვეშევრდომად არ მიიღოს.

უცხოეთი

საფრანგეთი. ლუბეს სამინისტროს ძლიერის თავ-გამოდებით ებრძვიან მისი მოკაშკაშენი და ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობენ, რომ ან როგორმე შეარყიონ და ან დასცენ, მაგრამ აქამდე გამარჯვება ისევ ლუბესა რჩება. აი, მაგალითად, ამ თვეის 15 ემილ ფერრიმ დეპუტატთა პალატაში წინადადება წარადგინა: რაც ეს დინამიტით ამფეთქებლები ზარალს აძლევენ კერძო კაცებს, სახელმწიფომ უნდა იკისროს იმისი ზღვევა და აღ-

---

ბაში გამონაკლად სიმართლის ნამდვილი ბეჭედი აზია და მსმენელს ასიამოვნებენ და აკეთილგონიერებენ. ნუკი ჰარძანებო: ასეთი იგავ-ანდაზები ჩვენც ვიცოდით და რაღა საჭირო იყოო. დიაღ, იცოდით, მაგრამ, რაც ვიცით, ისე არ ვიქცევით, და აი ეს არის კიდეც ჩვენი და მთელის კაცობრიობის უდიდებულესი ნაკლი და დამღუპავი უბედურება. მაშ რაღადა ვარ გასაკიცხი, როდესაც განმეორება დედაა კეთილის საქმისა, როდესაც ერთი და იგივე წვიმაც იმისათვის მოდის, სიცხემ მიწის ნიადაგი არ გაფიტოსო, და საყდრის ზარსაც იმისათვის უკრავენ ყოველთვის ერთსა და იმავე ხმაზედ, ღმერთი არ დაივიწყოსო.

დ. მაჩხანელი

(დასასრული წინასიტყვაობის მაგივრისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენაო. თვით ეს წინადადება ისეთი საგანი არ არის, რომ მთავრობას არ მოსწონებოდა, მაგრამ აქ სხვა აზრი იმალებოდა, ე. ი. ის აზრი, ვითომ მთავრობის დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს ასეთი გახშირება დინამიტით სახლების აფეთქებისაო. მინისტრი ლუბე მაშინვე კარგად მიუხედა გულის პასუხს თავისს მოწინააღმდეგეს და სთქვა, მთავრობა-კი იკისრებს მაგ ხარჯს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ სხვა რამე გწადიანთ მაგითი—გინდათ სახელი გაუტეხოთ და საზოგადოების ნდობა დაუკარგოთ მთავრობასაო. პალატამაც თავისით შეიგნო ხრიკები ლუბეს მოწინააღმდეგეთა, უარ-ჰყო ხსენებული წინადადების განხილვა და მის მაგიერ შეიწყნარა მთავრობის კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც დინამიტით სახლების ამფეთქებელნი სიკვდილით უნდა დაისაჯნენ ხოლმე.

ასეთი გარდაწყვეტილება პალატისა ნებას აძლევს სამინისტროს, რომ, როგორაც ჰსურს, ისეთი ღონისძიებანი იხმაროს ამფეთქებელთა წინააღმდეგ. რომ მართლა შებრალებისა და შეწყალების ღირსნი არ არიან, ამას ერთ-ხმად აღიარებენ არა თუ მარტო კონსერვატორთა და ზომიერ რესპუბლიკელთა გაზეთები, არამედ უმწვერვალეს რადიკალთა გაზეთებიც-კი, მაგალითად, გაზეთი „Radical“-ი და „Joustice“. ამას გარდა, როგორც ადრეც გვქონდა მოხსენებული, იმასაც-კი ურჩევენ მთავრობას—ინგლისურ-ამერიკული ღონისძიება იხმაროთო, ე. ი. დიდი ფული დაუწიშნეთ საჩუქრად, თუ ვინმე დამნაშავეებს აღმოაჩენსო. თუ სამინისტრო კარგად გამოიყენებს ასეთს მომხრეობას თითქმის მთელის საზოგადოებისას, მაშინ ეჭვი არ არის, მოწინააღმდეგენი ვერაფერს დააკლებენ ამფეთქებელთა საქმის ხელზე დახვევით.

მაგრამ მარტო ამ მხრივ არ მიდიან ირლანდიელ აწინდელის კაბინეტის მოწინააღმდეგენი. სამხედრო მინისტრს ფრეისინესაც გაეკინკლაენენ ზომიერი რადიკალები იმის გამო, რომ ჯარის საკეთებად ამ ჟამად მეტს ხარჯსა თხოულობთო და რაც მომეტებული ფული მიგაქვთ, ჯარის-კაცებსკი არა ჰხმარდება, არამედ სულ სხვა რაღაც საიდუმლო საგანსაო. ფრეისინემ ამაზედ შემდეგი პასუხი მისცა: თუ ეგ თქვენი ლაპარაკი გაკიცხვა არ არის, მაშინ თანახმა ვარ, ხარჯი ნაკლები მოვითხოვო... ითასის ფრანკითაო. პალატამ აღასრულა თხოვნა სამხედრო მინისტრისა და შემდეგ 416 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ მხოლოდ 23 ხმისა დაამტკიცა მთავრობის მიერ მოთხოვნილი ყველა კრედიტი. მრავალმა დეპუტატმა პირადად მიულოცა ასეთი გამარჯვება სამხედრო მინისტრს ფრეისინეს.

ამ გვარად ორჯელ ძლეულ შეიქმნენ მოწინააღმდეგენი აწინდელის კაბინეტისანი, მაგრამ არა გვგონია, რომ დასცხონენ და კიდევ სხვა ხრიკი არა იხმარონ-რა თავისის საწადელის მისაღწევად. მართლაც, ასეთს ხერხიანს დროს ი'ზეიათად-ღა ჩაიგდებენ ხელში მოწინააღმდეგენი კაბინეტისა. მთავრობა ეხლა ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ ერს დაუმტკიცოს, შეგვიძლიან ყოველს გაჭირვებას გავუძღვეთ და ყოველი მტერი საზოგადოების მყუდროებისა თავიდგან მოვიშოროთო. თუ მთავრობამ მართლა როგორმე მშვიდობით დაამთავრა ამფეთქებელთა საქმე და საზოგადოებას გული დაუმშვიდა, მაშინ მოწინაღმდეგენიც დამარცხებული ეყოლება, ხოლო თუ ეს ვერ მოახერხა მთავრობამ, მაშინ-კი შეიძლება კაბინეტის მოწინაღმდეგეებსაც კოპი ალჩუს დაუჯდეთ.

დეპეშა

27 მარტი

ბელგრადი. გუშინ ამერიკაში გაეგზავნა არქიმანდრიტი პერმილიანი, რომელიც მიწვეულია მღვდელმსახურად სლავიან-ბერძენთა ძმობისა ჩიკაგოში. პერმილიანმა თან წაიღო ყოველივე, რაც საჭიროა ეკკლესიის გასამართავად.

ბერლინი. დღეს დარმშტატიდგან აქ მობრძანდა დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული, რომელსაც რკინის გზის სადგურზე მიეგება იმპერატორი და იმპერატრიცა. მის უმაღლესობის პატივსაცემლად დღეს ქვრივი იმპერატრიცა გამართავს სადილს, რომელსაც დაესწრებიან აგრეთვე იმპერატორი და იმპერატრიცაც.

როგორც ამბობენ, გუშინ პოლიციას გაუჩხრეკია რამდენისამე ანარხისტის სახლი, დაუპატიმრებია რამდენიმე კაცი და თან წაუღია რამდენიმე საანარხისტო თხზულება. ამბობენ, ამ დაპატიმრებას კავშირი აქვს იმ დაპატიმრებასთან, რომელიც მოხდა ამ ორის თვის წინადაო.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია თავისი დისკონტი 3-დგან $2^1/_2$%-მდე.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 24 ᲛᲐᲠᲢᲘ.

	მოიგვალ.	გაფან.	გაყიდვ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲮᲣᲗᲘ-ᲨᲐᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲤᲐ	7,77	7,81	— ,,
ᲢᲐᲛᲐᲨᲘᲜᲘ ᲙᲣᲜᲗᲘᲡᲘᲐᲜ	155	156	— ,,
ᲫᲐᲜᲘᲐᲜᲘᲐᲜ ᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡᲘ ᲤᲣᲚᲘ	— ,,	1,12	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ	— ,,	— ,,	237¼
—ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘ	— ,,	— ,,	219¼
ᲮᲐᲚᲮᲛᲬᲘᲤᲝᲗ ᲛᲝᲐᲒᲐᲠ-ᲐᲖᲜᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— ,,	199	199½
ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ: 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ᲙᲣᲠᲝᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6%	— ,,	— ,,	— ,,
5% ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ	— ,,	— ,,	— ,,

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲒᲐᲜᲘ

ᲛᲘᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲮᲓᲘᲡ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შვილის ნოვოროსიისკში, ᲙᲘᲠᲘᲠᲝᲑᲘᲗ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შვილის ფოთამა და ყველა ნავთსადგურში. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარეთ სტამბოლში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოვლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. ᲙᲘᲠᲘᲠᲝᲑᲘᲗ დილით, სტამბოლიდგან.

ᲤᲝᲗᲝᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ᲤᲝᲗᲝᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲡ:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შვილის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შვილ, ლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზოდაც.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲕᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ᲤᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲐᲡ ᲨᲣᲐ.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ᲜᲘᲨᲜᲘ

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	„ კ.
წოთელი „ 1-ის ხარისხ.	„ „ „
„ „ 2	
თონ. წით. პურ. 1 ხარ.	„ „ „
„ „ „ 2	„ „ „
„ „ „ 3	„ „ „
ᲯᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲚᲐᲕᲐᲨᲘ.	
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ.	კ.
მე-2 „ „ „ „	„
მე-3 „ „ „ „	„
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8	„
„ „ 2 „	„
სუკი — — — 14	„
ცხვრის ხორცი — — 9	„
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7	„
მე-2 ხარ. ტყავიანად 6	„

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„ᲡᲘᲫᲚᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲓᲒᲐᲜᲘ“

ფრანდ კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ინანარზითია და თავ-ᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲘᲗᲘᲗ.

ᲛᲘᲖ. Დ—ᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული დ—რ Გ—ᲦᲚᲘᲡ ᲛᲘᲠ.

ᲤᲡᲘᲠ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ.

ᲐᲛ ᲡᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲑᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲘᲡᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲙᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲮᲔᲣᲚᲔᲑ